

სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების სპეციალური პირობები დანართი #1

1. სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების ძირითადი და სპეციალური პირობების იერარქია

1.1. სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა შორის არსებული სამართალური თვითობა რეგულირდება შემდეგი დოკუმენტებისგან: (ა) სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება - ძირითადი პირობები, (ბ) სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების სპეციალური პირობები და (გ) მხარეთა ნებისმიერი დამატებითი შეთანხმება, რომელიც დაკავშირებულია სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებასთან (სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების ცვლილებების/დამატებების ჩათვლით). თითოეული მათგანი წარმოადგენს ერთიან გარიგებას მთლიანობას და ერთმანეთის განუყოფელ ნაწილს. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების პირობებს შორის შეუსაბამობისას, უპირატესობა ენიჭება თავდებობის ხელშეკრულების ძირითად პირობებს და მასთან დაკავშირებულ დამატებით შეთანხმებებს.

2. თავდების პასუხისმგებლობა

2.1. თავდების მიერ სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის და ბანკის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, თავდები ვალდებული იქნება გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების ძირითადი პირობებით განსაზღვრული თავდების პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხის 0,5%-ის ოდენობით, თითოეული ვალდებულების შესრულების ვადისთვის გადაცილებული ყოველი დღისთვის.

2.2. თავდები თანახმაა, დაფაროს კლიენტის დავალიანება ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, მათ შორის იმის მიუხედავად, ჰქონდა თუ არა ბანკს იძულებითი აღსრულების მცდელობა კლიენტის მიმართ.

2.3. თავდები ვალდებულია, ბანკის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღისა, უზრუნველყოს ხელმოწერა და ბანკს დაუყოვნებლივ გადასცეს ნებისმიერი საბუთი (ხელშეკრულება, განცხადება, შეთანხმება და სხვა), რომელიც საჭირო იქნება ბანკისთვის სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებ(ებ)ის სრულფასოვანი განხორციელებისთვის.

2.4. სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში თავდები უარს აცხადებს მის უფლებაზე:

2.4.1. უარი თქვას ბანკის დაკმაყოფილებაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ კლიენტს (მოვალეს) უფლება ექნება სადავო გადახადოს ძირითადი ხელშეკრულება, რომელიმე დამატებითი ხელშეკრულება ან ამ დოკუმენტების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები;

2.4.2. მოითხოვოს თავდებობისგან გათავისუფლება ნებისმიერ შემთხვევაში, მათ შორის, თუ:

2.4.2.1. არსებითად გაუარესდება კლიენტის (მოვალის) ქონებრივი მდგომარეობა;

2.4.2.2. კლიენტისგან (მოვალისგან) გადახდევინება არსებითად გამწვანდება საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის შეცვლის გამო;

2.4.2.3. შეიცვლება ძირითადი ან/და დამატებითი ხელშეკრულების მხარე;

2.4.2.4. ძირითადი ან/და დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნებს ბანკი გადასცემს მესამე პირს.

2.5. თავდებობა შეწყდება მხოლოდ ამ ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი ვალდებულებების შეწყვეტის (ვალდებულებების სრულად შესრულების) შემდეგ ან მხარეთა შეთანხმებით.

2.6. თავდებს არ აქვს სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის უფლება სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებით და მის საფუძველზე გაფორმებული ყველა დოკუმენტით ნაკისრი უკლებლივ ყველა ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე.

2.7. თავდები აცხადებს, რომ მის მიერ სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების ძირითადი პირობების ხელმოწერის მომენტში ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაცია (მათ შორის სამეწარმეო საქმიანობისა და მისი, როგორც გადასახადის გადამხდელის სტატუსის შესახებ) არის უტყუარი, ზუსტი, სრული და ამომწურავი.

თავდები ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს თავისი საიდენტიფიკაციო მონაცემების, საკონტაქტო ინფორმაციის, სტატუსის ან საქმიანობის სახის ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

- 2.8. თავდები წინასწარ აცხადებს თანხმობას, რომ ბანკი არ არის პასუხისმგებელი ბანკსა და მსესხებელს შორის გაფორმებულ ძირითად ან/და დამატებით ხელშეკრულებებში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანის შემთხვევაში, თავდების შეტყობინებაზე და ეს არ იმოქმედებს ძირითადი ან/და დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ის ცვლილებების/დამატებების და ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შედეგებზე. ამასთან, თუ ძირითადი ხელშეკრულებ(ებ)ის ფარგლებში გათვალისწინებულია რამდენიმე მსესხებელი, ბანკს უფლება აქვს სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, თავდების წინასწარი ინფორმირების/თანხმობის გარეშე, შეამციროს მსესხებლების რაოდენობა.
- 2.9. ბანკი უფლებამოსილია, ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ის გრაფიკით გათვალისწინებული გადასახდელი თანხის 14 (თოთხმეტი) დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში, მოახდინოს თავდების საბანკო ანგარიშ(ებ)ის ბლოკირება - ანგარიშებზე/ანგარიშებიდან შეზღუდოს აქტიური ოპერაციები (თანხის გატანა, გადარიცხვა, კონვერტაცია და სხვა). ანგარიშ(ებ)ზე შესაძლებელი იქნება მხოლოდ ჩარიცხვის/თანხის შეტანის ოპერაციების განხორციელება.

3. თავდების შესახებ მონაცემთა დამუშავება და კონფიდენციალურობა

- 3.1. სს "თიბისი ბანკი" (მის: ქ. თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. #7) შეაგროვებს/დაამუშავებს პირის (თავდების) შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები). მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.
- 3.2. თავდები ბანკს ანიჭებს უპირობო უფლებას ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, თავდების დამატებითი თანხმობის გარეშე შეუზღუდავად (ნებისმიერი მოცულობითა და რაოდენობით):
- 3.2.1. კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავდებისთვის საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან საჭირო მოცულობით, მიიღოს ბანკისთვის აუცილებელი, თავდების პერსონალური მონაცემები (მონაცემები, ჩანაწერები ან/და საბუთები);
- 3.2.2. სასამართლოს, არბიტრაჟს ან/და მესამე პირს (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში) გადასცეს თავდების შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის თავდების საბანკო ანგარიშების, შესრულებული ოპერაციების, ანგარიშებზე არსებული ნაშთების, თავდების ვალდებულებების შესახებ მონაცემები) და თავდებთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება;
- 3.2.3. კლიენტს, კლიენტის თავდებ(ებ)ს ან/და ნებისმიერ პირს, რომლის ქონებითაც უზრუნველყოფილია კლიენტის ვალდებულებ(ებ)ის შესრულება, მიაწოდოს ინფორმაცია ბანკის მიმართ თავდების ვალდებულებ(ებ)ის შესახებ ან/და ამ პუნქტში ჩამოთვლილთაგან ნებისმიერ პირს, მოთხოვნის შემთხვევაში, გადასცეს ბანკსა და თავდებს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ის ასლ(ებ)ი; ნებისმიერი საშუალებით გაავრცელოს ინფორმაცია თავდების მიერ ბანკთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პუნქტში ჩამოთვლილთაგან ნებისმიერი პირი ავრცელებს ინფორმაციას ბანკის შესახებ;
- 3.2.4. თავდების ან/და მსესხებლის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დროულად ან/და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, პრობლემური აქტივ(ებ)ის მართვის მიზნით, ბანკთან

სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ პრობლემური აქტივების მართვის კომპანიას, გადასცეს თავდების შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია და თავდებთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც თავის მხრივ კისრულობს ვალდებულებას, დაიცვას ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;

3.2.5. ბანკის აუდიტორებს, კონსულტანტებს, მრჩეველებს და სხვა მსგავსი კატეგორიის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, საჭიროების შესაბამისად, გადასცეს თავდების შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია და თავდებთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;

3.2.6. თავდებისთვის სხვადასხვა მომსახურების შეთავაზებისა და გაწევისათვის (მათ შორის სხვადასხვა პროდუქტ(ებ)ის შეთავაზებისათვის) აუცილებელი ინფორმაცია (მათ შორის თავდების პერსონალური მონაცემები), გადასცეს ბანკის შვილობილ კომპანიებს ან სხვა მონათესავე საწარმო(ებ)ს, რომლებიც თავის მხრივ კისრულობენ ვალდებულებას, დაიცვან ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

3.3. პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები დამატებით წესრიგდება ბანკის პოლიტიკით, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია ბანკის ვებგვერდზე: <https://tbcbank.ge/ka/privacy-policy>.

3.4. სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის გაცვლილი ნებისმიერი ინფორმაცია, როგორც დოკუმენტური, ასევე ზეპირი სახით, წარმოადგენს მკაცრად კონფიდენციალურს. შესაბამისად, თითოეული მხარე ვალდებულია მკაცრად კონფიდენციალურად შეინახოს მიღებული ინფორმაცია და არ დაუშვას მისი გამჟღავნება სხვა ნებისმიერი მესამე პირისთვის. მხარე ვალდებულია მიმართოს ყველა ძალისხმევას, რათა არ ჰქონდეს წვდომა კონფიდენციალურ ინფორმაციასთან სხვა მესამე პირს, ხოლო ასეთი შემთხვევის დადგომისას, დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარე და გამოიყენოს ყველა ღონისძიება შექმნილი გარემოების აღმოსაფხვრელად. მხარე იღებს ვალდებულებას თავად აანაზღაუროს ყველა ის ზიანი, რაც შესაძლოა მიადგეს მეორე მხარეს კონფიდენციალური ინფორმაციის უკანონო გამჟღავნების შედეგად (მათ შორის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შედეგად), ზიანის ოდენობის მიუხედავად. პასუხისმგებლობა არ დადგება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და პირობებით, კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელების/გადაცემის შემთხვევაში.

4. კომუნიკაციის წესი

4.1. მხარეთა შორის კომუნიკაცია რეგულირდება სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების ძირითადი პირობებით და სპეციალური პირობებით განსაზღვრული წესით.

4.2. მხარეები თანხმდებიან, რომ კომუნიკაცია მათსა და სასამართლოს ან/და მათსა და საარბიტრაჟო დაწესებულებას ან/და მათსა და არბიტრებს შორის წარმოებს წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით (ელექტრონული ფორმით). მხარეები თანხმდებიან, რომ თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება, მათ შორის ხელშეკრულებაზე უარის თქმის, ხელშეკრულების მოშლის, ხელშეკრულების შეწყვეტის ან/და ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრის, აგრეთვე საპროცენტო განაკვეთის ბანკის მიერ ცალმხრივად გაზრდის შესახებ განხორციელებულად ჩაითვლება, თუ მხარეს ჩაბარდება წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფორმით სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში განსაზღვრულ ან თავდების მიერ ნებისმიერი წყაროთი მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. თავდები აცხადებს თანხმობას, რომ სასამართლომ ან არბიტრაჟმა (არბიტრმა) მისი დაბარება, მისთვის უწყების ჩაბარება, მისთვის სასამართლო ან საარბიტრაჟო საქმისწარმოების დოკუმენტაციების გადაცემა, მისთვის გადაწყვეტილების (განჩინების) / საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ჩაბარება განახორციელოს წერილობით, მათ შორის ელექტრონული ფოსტის საშუალებით სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში განსაზღვრულ ან თავდების მიერ ნებისმიერი წყაროთი მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე. თუ მხარეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფორმით სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში ან თავდების მიერ ნებისმიერი წყაროთი მითითებულ ელექტრონულ ფოსტის

მისამართზე, მიღება (მხარისათვის ჩაბარება) უნდა დადასტურდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით. თავდები აცხადებს თანხმობას, რომ სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების რეკვიზიტების ნაწილში განსაზღვრულ ან კლიენტის მიერ ნებისმიერი წყაროთი მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე ელექტრონული ფოსტის საშუალებით განთავსებული შეტყობინება (თუ მიღება (მხარისათვის ჩაბარება) დასტურდება შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით) მისთვის ჩაბარებულად ითვლება.

5. დასკვნითი დებულებები

- 5.1. თავდებობა ძალაში შედის თავდებობის ხელშეკრულების (ძირითადი პირობები) ხელმოწერის მომენტიდან;
- 5.2. იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს კანონმდებლობით.
- 5.3. მხარეები თანხმებიან, რომ ბანკის ვებგვერდზე განთავსებულ და ბანკის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის ბანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია ბანკის მიერ, აქვს მტკიცებულებითი ძალა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.
- 5.4. თავდებს არ აქვს უფლება, ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, გადასცეს მესამე პირს მასზე სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებით დაკისრებული ნებისმიერი ვალდებულება ან მისთვის მინიჭებული უფლება.
- 5.5. ბანკს უფლება აქვს, მესაკუთრის თანხმობის გარეშე, მესამე პირს მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებით მინიჭებული ნებისმიერი უფლება.
- 5.6. სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეებისა და სამართალმემკვიდრეებისთვის.
- 5.7. მხარეები ადასტურებენ, რომ სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტო სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე.
- 5.8. სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, გარდა სპეციალურ პირობებში განთავსებული პირობის ცვლილების ან/და ამავე პირობებში შესატანი დამატებ(ებ)ისა, რომელიც შეიცვლება ბანკის მიერ ცალმხრივად და გამოქვეყნდება წინამდებარე დოკუმენტის გამოქვეყნებისთვის დადგენილი წესით. სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება წარმოადგენს სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
- 5.9. თუ სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია ან მომავალში გახდება ბათილი, აღნიშნული არ გამოიწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას. სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების დანარჩენი მუხლები/პუნქტები განაგრძობს მოქმედებას ბათილი დებულების გარეშე.
- 5.10. სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების არაქართულენოვანი ვერსია და ქართულ და არაქართულ ვერსიებს შორის აღმოჩნდება შეუსაბამობა, უპირატესობა მიენიჭება სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების ქართულენოვან ვერსიას.
- 5.11. ბანკის საზედამხედველო ორგანოა საქართველოს ეროვნული ბანკი (მისამართი: 0114 თბილისი, სანაპიროს ქუჩა № 2; ვებგვერდი: www.nbg.gov.ge).